საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №248/ნ
2012 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით (ვებპორტალი, 110504011, 04/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016102) დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. მე-18 მუხლის

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულების არჩევანის შესაბამისად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:

ა) ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის სახით;

ბ) დარგის/სპეციალობის მიხედვით;

გ) მიმართულების მიხედვით;

დ) მიმართულებათაშორისი საგანმანათლებლო პროგრამის სახით;

ე) ერთობლივი სადოქტორო პროგრამის სახით;

ვ) ამ პუნქტის „ა “ - „ე “ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების კომბინაციის სახით.“

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. 18^1 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით (ვებპორტალი, 110504011, 04/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016102) დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურის“ (დანართი №2) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის აკრედიტაციის საფასურის ოდენობა შეადგენს 1000 ლარს, ხოლო რეგულირებადი და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის - 3000 ლარს.“

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**